

თავი 14**ვალდებულებების აღრიცხვა – ტმტპი****1. აქტივების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:**

- ა) ვალდებულებები;
- ბ) საწარმოს მიერ გამოთქმებული მოგება;
- გ) ერთი და მეორეც.

2. ვალდებულების სამართლებრივ ძალაში შესვლის საფუძველი არის:

- ა) სავალდებულო წესით შესასრულებელი კონტრაქტი;
- ბ) საკანონმდებლო მოთხოვნა;
- გ) როგორც „ა“ ისე „ბ“.

3. საწარმოს ვალდებულება წარმოიშობა:

- ა) ხელმძღვანელობის მიერ მომავალში აქტივების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
- ბ) კრედიტში აქტივის შეძენისას;
- გ) საწარმოს მიერ აქტივის კრედიტში რეალიზაციისას.

4. ვალდებულების შესრულება გულისხმობს:

- ა) ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის გასვლას საწარმოდან მევალე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით;
- ბ) ეკონომიკური სარგებლის მიღებას საწარმოში მეპატრონეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

5. ვალდებულების დაფარვა შეიძლება მოხდეს:

- ა) ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით;
- ბ) ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით;
- გ) ორივე პასუხი მართებულია.

6. საწარმოს ბალანსში ვალდებულება აისახება თუ:

- ა) მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის გასვლას;
- ბ) შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება;
- გ) ორივე პირობის დაკმაყოფილებისას.

7. ფაქტიური ვალდებულებები აღირიცხება:

- ა) მიახლოებითი შეფასებით;
- ბ) ზუსტი შეფასებით;
- გ) წინასწარი შეფასებით.

8. საგარანტიო ვალდებულება მიეკუთვნება:

- ა) ფაქტიურ ვალდებულებას;
- ბ) შეფასებულ ვალდებულებას;
- გ) პირობით ვალდებულებას.

9. პირობითი ვალდებულება წარმოადგენს:

- ა) ფაქტობრივ ვალდებულებას;
- ბ) პოტენციურ ვალდებულებას;
- გ) ორივე პასუხი მცდარია.

10. ვალდებულება შეიძლება იყოს :

- ა) მხოლოდ გრძელვადიანი;
- ბ) მხოლოდ მოკლევადიანი;
- გ) როგორც „ა“ ისე „ბ“.

11. ვალდებულება მიიჩნევა მოკლევადიანად თუ:

- ა) მისი დაფარვა მოსალოდნელია საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ბ) საწარმოს გააჩნია მისი დაფარვის გადავადების უპირობო უფლება;
- გ) ორივე პასუხი მართებულია.

12. მოკლევადიან ვალდებულებებს განეკუთვნება:

- ა) საგადასახადო ვალდებულებები;
- ბ) გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები;
- გ) გადავადებული შემოსავლები.

13. მიღებული ავანსები შეიძლება იყოს:

- ა) გრძელვადიანი ვალდებულება;
- ბ) მოკლევადიანი ვალდებულება;
- გ) შესაძლებელია ერთი და მეორეც.

14. სავაჭრო ვალდებულებასთან დაკავშირებული თანხები მოიცავს:

- ა) მხოლოდ შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებას;
- ბ) მხოლოდ იმ არაპირდაპირ გადასახადებს, რომლებიც მატერიალური ფასეულობების შეძენასთან არის დაკავშირებული;
- გ) იმ თანხებს, რომლებიც გადახდილი უნდა იყოს მომწოდებლის სასარგებლოდ, მათ შორის ის თანხებიც, რომლებიც დაკავშირებულია ამ ფასეულობების შეძენასთან და არ შედის თვითღირებულებაში.

15. მოგებაში მონაწილეობის პროგრამის მიხედვით კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიშობა:

- ა) მომუშავეს მომსახურების საფუძველზე;
- ბ) საწარმოს მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე;
- გ) როგორც „ა“ ისე „ბ“.

16. მოგებაში მონაწილეობის პროგრამის მიხედვით მონაწილეობისა და პრემიების დანახარჯებს საწარმო აღიარებს, როგორც:

- ა) წმინდა მოგების განაწილებას, რადგანაც ამ პროგრამის დროს ვალდებულება წარმოიშობა საწარმოს მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ბ) ხარჯს, რადგანაც ამ პროგრამის დროს ვალდებულება წარმოიშობა მომუშავეს მომსახურების საფუძველზე;
- გ) ორივე პასუხი მცდარია.

17. მოგების გადასახადის გადამხდელები არიან:

- ა) იურიდიული პირები;
- ბ) ფიზიკური პირები;
- გ) როგორც იურიდიული პირები ისე ფიზიკური პირები.

18. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან:

- ა) მხოლოდ რეზიდენტი ფიზიკური პირები;
- ბ) რეზიდენტი იურიდიული პირები;
- გ) რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

19. გადახდილ და გადასახდელ დღე-ს შორის სხვაობა არის:

- ა) ბიუჯეტის კუთვნილი დღე;
- ბ) ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღე;
- გ) შეიძლება იყოს როგორც „ა“ ისე „ბ“.

20. თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადახდილ და გადასახდელ დღეებს შორის სხვაობა გამოისახება საღებეტო ნაშთით ეს ნიშნავს:

- ა) პერიოდის შესაბამისად გადახდილი დღე-ს ოდენობა მეტია გადასახდელი დღე-ს ოდენობაზე;
- ბ) პერიოდის შესაბამისად გადასახდელი დღე-ს ოდენობა მეტია გადახდილი დღე-ს ოდენობაზე;
- გ) ორივე პასუხი მართებულია ოღონდ არა ერთდროულად.

21. შესყიდვებს უკავშირდება:

- ა) გადასახდელი დღე;
- ბ) გადახდილი დღე;
- გ) როგორც „ა“ ისე „ბ“ ოღონდ არა ერთდროულად.

22. კომპანიისათვის გრძელვადიანი დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა:

- ა) მოკლევადიანი სესხები;
- ბ) გრძელვადიანი ვალდებულებები;
- გ) საბანკო ოვერდრაფტი.

23. გრძელვადიანი სესხის (ვალდებულების) უპირატესობას საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში წარმოადგენს:

- ა) სესხის პროცენტის გადახდის აუცილებლობა კომპანიის ფინანსური შედეგის მიუხედავად;
- ბ) სესხის გადახდის ვადებში სესხის გადასახდელად ფულადი სახსრების მობილიზაციის აუცილებლობა;
- გ) ნაკლებ რისკიანობა და აქციაზე უკუგებასთან შედარებით მნიშვნელოვანი სიიაფე.

24. მომწოდებლის მიმართ არსებული ვალდებულების დაფარვა არ ხდება:

- ა) მომწოდებლის მიერ მისაღებ თანხებზე უარის თქმით;
- ბ) მომწოდებლის მიმართ არსებული ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით;
- გ) მომწოდებლის მიერ მომსახურების გაწევით.

25. ვალდებულების აღიარება შესაბამისად შეიძლება იწვევდეს:

- ა) აქტივების აღიარებას;
- ბ) ხარჯების აღიარებას;
- გ) როგორც „ა“ ისე „ბ“.

26. ვალდებულება მიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად თუ:

- ა) ის დასაფარი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში და უზრუნველყოფს გრძელვადიან დაფინანსებას;
- ბ) ის დასაფარი არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში და უზრუნველყოფს მოკლევადიან დაფინანსებას;
- გ) ორივე პასუხი მცდარია.

27. სავარანტო ანარიცხების შექმნა მოითხოვება:

- ა) გაყიდვის მომენტში, ვინაიდან გაყიდვის ოპერაცია წარმოშობს ვალდებულებას;
- ბ) წუნის გასწორების ან წუნის შეცვლის მომენტში, ვინაიდან წუნის აღმოჩენა წარმოშობს სავარანტო ვალდებულებას;
- გ) ორივე პასუხი მართებულია.

ვალდებულებების აღრიცხვა – ამოცანები**სამარჯიშო №1**

კომპანიაში მ/წლის მაისის თვეში განხორციელებულია შემდეგი სახის ოპერაციები:

- 1) 19 მაისს ნაღდი ანგარიშსწორებით, იმავდროული გადახდის პირობით შეძენილია 17.700 ლარის საქონელი (მათ შორის დღე 2.700 ლარი) და მაქსიმუმ 15 დღეში უნაღლო ანგარიშსწორების წესით გადახდის პირობით მიღებულია 45.000 ლარის ნედლეული და მასალები, რომელსაც დაერიცხა 8.100 ლარის დღე;
- 2) 21 მაისს უნაღლო ანგარიშსწორებით დაფარულია სხვა მომწოდებლის მიმართ არსებული ვალდებულება 12.300 ლარის ოდენობით;
- 3) 25 მაისს მიღებულია არასამეწარმეო პროცესში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანგარიში 5.428 ლარზე (მ.შ. დღე 828 ლარი);
- 4) 30 მაისს განხორციელდა 19 მაისს წარმოშობილი ვალდებულების ნაწილის დაფარვა 25.000 ლარის ოდენობით.

მოგვთხოვბათ:

ასახოთ ზემოთ მოყვანილი ოპერაციები ბუღალტრულ გატარებებში მითითებული თარიღების მიხედვით, თუ ცნობილია, რომ კომპანია მარაგს უწყვეტი მეთოდით აღრიცხავს.

სამარჯიშო №2

სავაჭრო კომპანია „არვო“ საქონლის შეძენას ახორციელებს კრედიტში და აწარმოებს კრედიტორების ანალიზურ აღრიცხვას, ხოლო მარაგს აღრიცხავს მუდმივი მეთოდით.

20X2 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით მას სავაჭრო კრედიტორების მიმართ ჯამში ერიცხებოდა 33.400 ლარის ვალდებულება, მათ შორის:

- ა) შპს „ვარაზის“ მიმართ - 12.000 ლარი;
- ბ) შპს „კოლხას“ მიმართ - 5.600 ლარი;
- გ) შპს „ორბის“ მიმართ - 15.800 ლარი.

20X2 ნოემბრის თვეში მან განახორციელა შემდეგი ოპერაციები:

- 1) 7 ნოემბერს უნაღლო ანგარიშსწორებით დაიფარა შპს „კოლხას“ მიმართ არსებული ვალდებულება სრულად.
- 2) 9 ნოემბერს კომპანია „ალფასავან“ კრედიტში შეძენილია 18.000 ლარის საქონელი. (დარიცხული დღგ – 3.240 ლარი).
- 3) 10 ნოემბერს უნაღლო ანგარიშსწორებით დაიფარა შპს „ორბის“ მიმართ არსებული ვალდებულების ნაწილი 10.000 ლარის ოდენობით.
- 4) 22 ნოემბერს შპს „ნატასვან“ კრედიტში შეძენილია 7.000 ლარის ნედლეული და მასალები. (დარიცხული დღგ – 1.260 ლარი).
- 5) 26 ნოემბერს შპს „კარაზს“ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა მისგან შეძენილი საქონლის ღირებულების ნაწილი 8.500 ლარის ოდენობით.
- 6) 30 ნოემბერს შპს „ალფას“ საღაროში შეტანილია მის მიმართ არსებული ვალდებულების ნაწილი 9.200 ლარი.
- 7) 30 ნოემბერს შპს „კოლხასვან“ შეძენილია კრედიტში 5.000 ლარის საქონელი. (დარიცხული დღგ - 900 ლარი).

მოვთხოვბათ:

ასახოთ ოპერაციები თარიღების მიხედვით ბუღალტრულ მუხლებში, შესაბამისი მონაცემები გადაიტანეთ ანგარიშ 3110-ის ნოემბრის თვის ჟურნალ-ორდერში და გამოიყვანეთ თვის ბოლო შედეგები.

ჟურნალ ორდერი

ანგარიში №

წელი: 20X2 თვე: _____

№	ოპერაციის შინაარსი	საწყისი ნაშთი		დამატები		დამატის ჯამი	პრემიები			პრემიების ჯამი	საბოლოო ნაშთი	
		დამატები	პრემიები	ანგარიშები პრემიები			ანგარიშები დამატები				დამატები	პრემიები
				№	№		№	№	№			

სამარჯიშო №3

კომპანია „დუბლი“ შპს „ვინოსთან“ მ/წლის 1 სექტემბერს მიღებული შეთანხმებით შპს „ვინოს“ მშენებარე ადმინისტრაციულ შენობაზე უნდა განახორციელოს 115.000 ლარის თვითღირებულების სამონტაჟო მომსახურება. შესრულებული სამუშაოსათვის შპს „ვინომ“ კომპანია „დუბლს“ უნდა გადაუხადოს 120.000 ლარი, რისთვისაც მას საბანკო ანგარიშზე 10 სექტემბერს ავანსის სახით ურიცხავს 30.000 ლარს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება კომპანია „დუბლმა“ შეასრულა მ/წლის 15 ოქტომბრისათვის და ამავე თარიღისათვის მან საბანკო ოპერაციით შპს „ვინოსავან“ მიიღო 55.000 ლარი. ამავე შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ დარჩენილი თანხა შპს „ვინომ“ უნდა გადაიხადოს 25 ოქტომბერს.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ოპერაციები ბუღალტრულ მუხლებში კომპანია „დუბლისა“ და შპს „ვინოს“ აღრიცხვაში ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით, თუ ცნობილია, რომ შპს „ვინომ“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა დათქმულ ვადაში.

სამარჯიშო №4

31 აგვისტოს სავაჭრო ცენტრის თანამშრომლებზე დარიცხულია შემდეგი თანხები:

- 1) სავაჭრო სექციების გამყიდველების ხელფასები – 9.350 ლარი
- 2) ადმინისტრატორის ხელფასი - 900 ლარი.
- 3) ბუღალტრის ხელფასი - 600 ლარი და პრემია 300 ლარი.
- 4) დაცვის თანამშრომლების ხელფასი – 1.350 ლარი.
- 5) მშენებარე ადმინისტრაციულ შენობაზე მომუშავე მუშების ხელფასები – 3.200 ლარი.

დარიცხულია აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი.

5 სექტემბერს გაცემულია აგვისტოს თვეში დარიცხული ხელფასები ნაღდი ანგარიშსწორებით და ბიუჯეტში გადარიცხულია საშემოსავლო გადასახადი.

მოკეთხოვბათ:

ასახოთ ოპერაციები ბუღალტრულად მითითებული თარიღების მიხედვით, თუ ცნობილია, რომ დეპონირებულია დაცვის ერთი თანამშრომლის ხელფასი 450 ლარის ოდენობით. გაითვალისწინეთ, რომ კანონმდებლობით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%-ია, ხოლო საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა და შემდგომში ბიუჯეტში აღნიშნული გადასახადის გადახდა ხორციელდება დარიცხული ხელფასების შესაბამისად.

საპარჯიშო №5

მოკლევადიანი აქტივის დასაფინანსებლად საწარმო მ/წლის 1 აგვისტოს პარტნიორისგან აიღო 6 თვიანი სესხი 7.000 ლარის ოდენობით, წლიური 24%-იანი განაკვეთით. პროცენტის გათვლა ხდება 360 დღიანი მეთოდით და გადახდა ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვში ნაღდი ანგარიშსწორებით. თანხა მიღებულია სალაროს ანგარიშზე.

ამავე წელს აუცილებელი გახდა მეორე მოკლევადიანი (1 წლიანი) სესხის აღება 14.600 ლარის ოდენობით. სესხი აღებულია მ/წლის 10 სექტემბერს საკრედიტო ორგანიზაციისგან, წლიური 25%-იანი განაკვეთით. პროცენტი გაიანგარიშება 365 დღიანი მეთოდით, გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვში. სესხის თანხა ჩამოირიცხა საბანკო ოპერაციით.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ბუღალტრულად აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები 1 აგვისტოს, 10 სექტემბრის, 30 სექტემბრის და 5 ოქტომბრის თარიღების შესაბამისად.

საპარჯიშო №6

კომპანიას 20X2 წლის 1 აპრილს საბანკო ანგარიშზე კერძო კომპანიისგან მიღებული აქვს 5 წლიანი სესხი 250.000 ლარის ოდენობით, წლიური 15%-იანი განაკვეთით.

ხელშეკრულების თანახმად ძირითადი თანხის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ყოველი წლის ბოლოს 31 დეკემბერს 50.000 ლარის ოდენობით. პროცენტი გაიანგარიშება 360 დღიანი მეთოდით. გადახდა ხდება საბანკო ოპერაციით წელიწადში ერთხელ. პირველი წლის საპროცენტო თანხის გადახდა გადაეადებულია 20X3 წლის 5 იანვრისათვის.

მოგეთხოვებათ:

გაატაროთ აღნიშნული ოპერაციები ბუღალტრული მუხლებით 20X2 წლის 01 აპრილის და 31 დეკემბრის, აგრეთვე 20X3 წლის 5 იანვრის თარიღების შესაბამისად.

საპარჯიშო №7

კომპანია „მოვ ზაური“ ახორციელებს ტურისტულ მომსახურებას, იგი დღე-ს გადამხდელია მ/წლის 1 აგვისტოდან. აღნიშნულ თვეში მან განახორციელა შემდეგი ოპერაციები:

- 1) ავტო ტურით მოვ ზაურობის მსურველთათვის 5 აგვისტოს გაწეულია 17.700 ლარის (დარიცხული დღე 3.186 ლარი), ხოლო 18 აგვისტოს 10.000 ლარის (დარიცხული დღე 1 800 ლარი) ტურისტული მომსახურება. მომსახურების საფასური მიღებულია საბანკო ოპერაციით;
- 2) სხვა საექსკურსიო მომსახურებიდან 25 აგვისტოს მიღებულია 800 ლარი (დარიცხული დღე 144 ლარი), ხოლო 30 აგვისტოს - 2.300 ლარი (დარიცხული დღე 414 ლარი). მომსახურების საფასური ორივე შემთხვევაში გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით;
- 3) 20 აგვისტოს მიღებულია მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანგარიში 472 ლარის ოდენობით (მ.შ. დღე 72 ლარი), ხოლო 23 აგვისტოს - სატელეფონო მომსახურების ანგარიშფაქტურა 236 ლარზე (მ.შ. დღე 36 ლარი);
- 4) 26 აგვისტოს კომპანიას კრედიტში გაეწია 750 ლარის იურიდიული მომსახურება (დარიცხული დღე 135 ლარი);
- 5) 31 აგვისტოს საბანკო ოპერაციებით გადარიცხულია ელექტრო ენერგიისა და სატელეფონო მომსახურების საფასური.

მოვითხოვბათ:

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულ მუხლებში მითითებული თარიღების შესაბამისად. გაიანგარიშეთ სხვაობა პერიოდის მიხედვით გადასახდელ და გადახდილ დღე-ს თანხებს შორის და სხვაობის სადებეტო ნაშთის შემთხვევაში მოახდინეთ მიღებული შედეგის ბუღალტრულად სწორად გატარება.

საპარჯიშო №

20X2 წლის 1 დეკემბრისათვის საწარმო „არვოს“ ანგარიშებზე ერიცხებოდა შემდეგი ნაშთები:

- ა) მზა პროდუქცია – 14.000 ლარი;
- ბ) საშემოსავლო გადასახადის დავალიანება ბიუჯეტისადმი - 200 ლარი;
- გ) საბანკო ანგარიში – 12.800 ლარი;
- დ) სალაროს ანგარიში – 2.600 ლარი;
- ე) გასაცემი ხელფასების ნაშთი - 800 ლარი;
- ვ) ბანკის მოკლევადიანი სესხი – 3.500 ლარი;
- ზ) დავალიანება სატელეფონო მომსახურებაზე - 100 ლარი;
- თ) საწესდებო კაპიტალის ანგარიში – 29.800 ლარი.
- ი) დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები(მანქანა-დანადგარები) – 5.000 ლარი. (ამ ძირითადი საშუალებების ღირებულება მ/წლის 1 იანვრისთვისაც 5000ლარს შეადგენდა).

დეკემბრის თვის მიხედვით განხორციელებულია შემდეგი ოპერაციები:

- 1) 02 დეკემბერს საწარმომ 4.000 ლარის პროდუქტია მყიდველს მიაწოდა 6.700 ლარად ნაღდი ანგარიშსწორებით. დარიცხული დღგ 1.206 ლარია 18%.
- 2) 03 დეკემბერს საღაროს ანგარიშიდან დაფარულია სატელეფონო მომსახურების გაღებულება 100 ლარის ოდენობით.
- 3) 10 დეკემბერს 5.000 ლარის მზა პროდუქტია გაიყიდა კრედიტში 8.500 ლარად. დარიცხული დღგ 1.530 ლარია.
- 4) 16 დეკემბერს საბანკო ანგარიშზე დებიტორისგან მიღებულია 9.000 ლარი.
- 5) 20 დეკემბერს უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენილია დანადგარი 3.540 ლარად, რომელშიც შედის დღგ 540 ლარი.
- 6) 22 დეკემბერს ექსპლოატაციაში შევიდა 5000 ლარად შეფასებული დაუმონტაჟებელი მანქანა დანადგარები.
- 7) 30 დეკემბერს საწარმოს საფირმო მალაზიის გამყიდველებს დაერიცხათ ხელფასი შემდეგი ოდენობებით: (თანხები და გვარები პირობითია) ნიჟარაძე ი.ა. – 320 ლარი, კვანტალიანი გ.ნ. – 210 ლარი; საწარმოს დირექტორს: ლობჯანიძე ს.ი. – 450 ლარი; ბუღალტერს: სახამბერიძე ა.დ. – 360 ლარი. თანამშრომლებს ხელფასზე დაუკავდათ საშემოსავლო 20%-ის ოდენობით.
- 8) 31 დეკემბერს საღაროდან გაიცა ხელფასი და წინა თვის ხელფასის დავალიანების თანხა.
- 9) 31 დეკემბერს ბანკის ანგარიშიდან გადაირიცხა გაცემული ხელფასის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი.
- 10) 31 დეკემბერს ბანკიდან გადარიცხულია დეკემბრის თვის დამატებული ღირებულების გადასახადი.
- 11) 31 დეკემბერს დარიცხულია ქონების გადასახადი, ძირითადი საშუალების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
- 12) 31 დეკემბერს წლიური მოგების შესაბამისად დაერიცხა მოგების 15% გადასახადის ხარჯი.

მოგებითხვევები:

მოცემული ოპერაციების მიხედვით 1 დეკემბრისათვის გახსენით ანგარიშები სქემებზე, გადაიტანეთ წინა ნაშთები. ასახეთ დეკემბრის თვის ყველა ოპერაცია თანმიმდევრობით სარეგისტრაციო ჟურნალში და შესაბამის ანგარიშებზე; გამოიყვანეთ ანგარიშებში ბრუნვები და საბოლოო ნაშთები; შეადგინეთ ხელფასის უწყისი, საცდელი ბალანსი; დახურეთ შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები და გამოიყვანეთ საბოლოო შედეგები. მოამზადეთ ბალანსი და მოგება ზარალის ანგარიშგება.

[illegible]

The diagram shows a rectangular domain. A horizontal line at the top is labeled with g on the left and d on the right. A vertical line segment is drawn from the center of the top boundary down to the bottom boundary. This vertical segment is labeled with h on its right side.

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

რ	შ

ხელფასის უწყისი №

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	დარიცხული ხელფასი	საშემოსავლო 20%	ხელზე	ხელმოწერა
1	2	3	4	5	8	9
	სულ:					

შპს "არმო"

საცდელი ბალანსი

20X2 წლის 31 დეკემბერი

№	ანგარიშის დასახელება	ანგ. №	დებეტი	კრედიტი
	ჯამი:			

შპს „არგო“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
20X2 წლის 31 დეკემბერი (ლარი)

შემოსავალი რეალიზაციიდან

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

საერთო მოგება

მიწოდების ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

მოგება დაბეგვრამდე

მოგების გადასახადის ხარჯი

საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება

შპს „არგო“

ბალანსი

20X2 წლის 1 ოქტომბრისათვის

აქტივები	თანხა	პასივები	თანხა
<i>მიმდინარე აქტივები</i>		<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>	
სულ მიმდინარე აქტივები:		სულ მიმდინარე ვალდებულებები:	
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>	
სულ გრძელვადიანი აქტივები:		სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	
		კაპიტალი	
		სულ კაპიტალი:	
სულ აქტივები:		სულ პასივები:	